

## ისრაელი

- სახმელეთო ამანათის საქართველოში გამოსაგზავნად მიღება ხორციელდება ქალაქ **ბათ-იამში** არსებულ შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტის ოფისში.
- ისრაელიდან საქართველოს მიმართულებით სახმელეთო ამანათის **გაგზავნის ღირებულება** დგინდება აგენტის მიერ.
- სახმელეთო ამანათის ისრაელიდან საქართველოს მიმართულებით **გაგზავნა ხორციელდება ორ კვირაში ერთხელ, გამოგზავნის დღე წინასწარ განსაზღვრული არ არის.**
- სახმელეთო ამანათის საქართველოში ტრანსპორტირების ვადაა გამოგზავნიდან **არაუმეტეს 17-21 კალენდარული დღისა.**
- გამოგზავნის უფლება არ აქვს გააგზავნოს ის ნივთები და საქონელი, რომელთა გაგზავნაც **აკრძალულია** როგორც გამოგზავნი, ისე ტრანზიტული და საქართველოს კანონმდებლობით. სახმელეთო ამანათით ასევე იკრძალება მსხვრევადი ნივთების (მათ შორის ტელევიზორი; ჭურჭელი და სხვა) გაგზავნა;
- გზავნილის **სათანადოდ შეფუთვაზე** პასუხისმგებელია გამოგზავნი. გზავნილი უნდა შეიფუთოს იმგვარად, რომ არ მოხდეს მისი შიგთავსის დაზიანება ტრანსპორტირების დროს, აგრეთვე ასეთმა შეფუთვამ არ უნდა დააზიანოს სხვა გზავნილები ტრანსპორტირების დროს და არ უნდა შეუქმნას პრობლემები პირებს, რომლებიც განახორციელებენ გზავნილების შემდგომ დამუშავებას, ტრანსპორტირებას თუ დასაწყობებას.
- სახმელეთო ამანათის ადრესატისათვის ჩაბარება ხორციელდება გზავნილზე დატანილი ადრესატის მისამართის/ინდექსის მომსახურე სერვისცენტრებსა და კონტრაქტორ ოფისებში.  
**გთხოვთ გაითვალისწინოთ,** შპს „საქართველოს ფოსტას“ უფლება აქვს, შეცვალოს ამანათის ჩაბარების ადგილი და ის გააგზავნოს იმავე რეგიონის/რაიონის/უბნის ფარგლებში არსებულ სხვა სერვისცენტრსა თუ კონტრაქტორ ოფისში.

- ისრაელში არსებული შპს „საქართველოს ფოსტის“ აგენტების ოფისების და გაცემის პუნქტების მისამართები და სამუშაო საათები:

N.	აგენტის ოფისი	მისამართი	ტელეფონის ნომერი	სამუშაო საათები
1	ბათ-იამი	Bat yam, HaRav Kokis st.22, 5910001	ტელ: (+972) 532 194 777 (viber,WhatsApp) ტელ: (+972) 532 193 777 (viber,WhatsApp) ტელ:(+972) 532 186 777(Viber,WhatsApp)	ყოველ დღე 10:00სთ-დან - 19:00 სთ-მდე